ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3719825

ნომერი: AR1561470

თარიღი : 29.11.2017

გაცემის თარიღი : 06.12.2017

გაცნობის თარიღი : 06.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რევაზ ჯაფარიძის ქუჩა N52 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ბრეგვაძე პ/ნ 01017006098
- თბილისი ს.ჭიაურელის ქ. N 14

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
- თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, კერძოდ, I და II ფოტომონტაჟის მიხედვით ჩასატარებელი სამუშაოები ითვალისწინებს ფართის ისეთ რეკონსტრუქციას (არსებულ შენობაზე აივნის მიშენება და ახალი სახურავის მოწყობა), რომლითაც აღნიშნული სამუშაოები თავისი მახასიათებლებით ცდება I კლასის სამუშაოებს და მიეკუთვნება ისეთი კლასის რეკონსტრუქციას, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მსგავსი სახით რეკონსტრუქციის საკითხს ცალკე (დამოუკიდებლად) I კლასის კუთხით ვერ განიხილავს.

ასევე საზავხულო ფართების გადახურვა სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია, შესაძლებელია მოეწყოს მსუბუქი კონსტრუქციის ტენტი. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ უნებართვო სამუშაოების შემდგომ განვითარებაზე სამსახური ნებართვას ვერ გასცემს.

რაც შეეხება III და IV ფოტომონტაჟების მიხედვით ჩასატარებელ სამუშაოებს, გაცნობებთ:

- ფოტომონტაჟზე დატანილ იქნას ფანჯრის ღიობის გაბარიტული ზომები და საპროექტო აბრის ფასადიდან გამოწევის მანძილი.
- დაზუსტდეს მოთხოვნა და მოთხოვნის ტექსტი ჩამოყალიბდეს შესაბამისად.
- წარმოსადგენია სათანადო წესით დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა), ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, კრების დამსწრე წევრების რიცხვითი და %–ული რაოდენობის მითითებით. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ " საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3 (67%) და ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. შესაბამისად წარმოსადგენია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი, რომლის თანახმად, კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა არანაკლებ 2/3–ს (67%) და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილ იქნას განახლებული ფოტომონტაჟები (აივნისა და სახურავის მოწყობის გარეშე).
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.